

მ. ჯანაშია

კახეთის გუბერია

30967



საქართველო  
1899 № 117

Handwritten signature or initials.



12996 N III

# ვანტანგ გორგასალი

(472—532)

ვანტანგ გორგასალის ცხოვრება მეცნიერებს, თითქმის, ზღაპრად მიაჩნიათ. რად? იმიტომ, უმთავრესად, რომ მისს «ცხოვრებაში» მოხსენებულნი ამბები არ ემთხვევიან მსოფლიო ისტორიის გადმოცემათ იმავე დროის შესახებ, რა დროსაც, ვახუშტის ქორონიკონით, მეფობდა ვანტანგ გორგასალი. გაჩნა ჩვენის მატინის ზედმიწევნით შესწავლა მეცნიერების ამგვარ აზრს სრულიად არღვევს და ვანტანგს მიაგებს იმას, რაც ეკუთვნის.

ისტორიკოსის ვახუშტისა და მისს მიმდევართ ბრალა, რომ აჭამდის ვანტანგს ზღაპრულ ანუ ნახევრად ზღაპრულ გმირად მიიჩნევს მეცნიერება!

ვანტანგის ცხოვრების დასაწყისშივე (ქ.-ცხ., გვ. 121) სწერა:

„მას ჟამსა იყო ვანტანგ წლისა ოცდაოცისა... მირიან მეფისითგინ ვიდრე ვანტანგ მეფისამდე გარდაცვალებულ იყო ნათესავი ათი და მეფენი რვათი<sup>1)</sup> და წელიწადნი ას ორმოც და ათშვიდმეტი“.

ვახუშტს უურაღდება არ მიუჭრევია ამ 22 წლისათვის, რადესაც მირიანიდან ქორონიკონი უოფილა 157 და არც იმისთვის, რომ მხოლოდ ამ 157 ქორონიკონიდან იწეება გრძელი ისტორია ვანტანგ მეფისა (გვ. 121—149), არამედ არც უცებობა და არც

<sup>1)</sup> ვანტანგის მიერ კათალიკოზის განწესების ქორონიკონს კი „გარდაცვალებულიყო მეფენი ათნი“. (იხ. ქვემო).

უცსელებია და გადაუწვევია, სწორედ ამ ქორონიკონს, ესე იგი 499 წელს (რადგან 342 (+ მირიანი) + 157 = 499) გარდაცვლილა ვასტანგიო! და რადგან ეს ქორონიკონი (499 წ.) ქართლის ცხოვრებაში შესულა და გავრცელებულა, ვასტანგის ცხოვრებაც საზღვარსა შექმნილა, რადგან ეს ცხოვრება შემდეგ 499 წლისა ყოფილა და არა მანამდე.

ვასტანგ მეფის ცხოვრების დრო-ჟამის გამოსარკვევად ქართლის-ცხოვრებაზე გვაძლევს რაოდენიმე ქორონიკონს და ეგულა ეს ქორონიკონები გვიჩვენებენ, რომ გარდასული აღსრულებულა 532 წელს.

ა. ქართლის-ცხოვრებაში აღნიშნულია ქორონიკონები სსკა-და-სსკა შემთხვევათა ვასტანგის ცხოვრებიდან და ეს ქორონიკონები ეთანხმებიან მსოფლიო ისტორიის ცნობებს შესახებ საქართველას მეფის გურგენისა (იგივე გორგენ, გურგენ).

ბ. ვასტანგის მიერ ოსეთს გალაშქრების შემდეგ სპარსეთში სპი ყაენი გარდაიცვალა (ქ.-ცხ., გვ. 133 და 146) და გამეფდა მეოთხე ხოსრო 1 (531 წელს).

გ. 531 წელს ვასტანგი მიწვენილი იყო ვიდრე 60 წლამდე დაბადებიდან (ქ.-ცხ., გვ. 146).

დ. ვასტანგი მიიცვალა «აფხაზთა ცხოვრებით»<sup>2)</sup> ქვსა: რნე, დასაბამიდან: ხელთა.

ე. კათალიკოსი რომ განაწესა ვასტანგმა, მაშინ იყო ქორონიკონი რო (170 წ.).

ეგულა ეს ქორონიკონები სპა-მადლა დადადებენ, რომ ვასტანგი 499 წელს არა თუ არ მომკვდაჩა, არამედ იგი ამ დროს ისეკახალგაზდა ვაყვანი ყოფილა.

531 წელს რომ გამეფდა ხოსრო I-ლი, მან შემოუთვალა ვასტანგს: „მოკვდა მამა ჩემი და ერმან მისმან მე მყო მეფედ. მოხუცებულთა მიბრძანეს, მოვიდე შენ წინაშე და შენ წარმიძედვ ბრძოლად ბერძენთა და ასული შენი მომეც კოლად“.

<sup>2)</sup> ნაწყვეტი ამ „აფხაზთა ცხოვრებისა“ იხ. ჟორდანიას „ქორონიკონში“ (1, გვ. 50).

ვახტანგი მაშინ აშენებდა ქალაქ ტფილისს და საფუძველი ოდენ დაედვა. იგი მიწვენილ იყო დღეთა ვითარ სამეფისა წლისა“. (ქ.-ცხ., გვ. 146).

ვახტანგმა ყაენის ელჩებს უთხრა: «ამისი თქვიან: «მჭედელა, განმასვე მასვილი შენი, რათა მსწრეთელ განეწონას ასეთა შენთა!» და უარი შეუთვალა ყაენს, ხოსრო შემოეხრძოლა. ვახტანგი დაიჭრა და მოკვდა.

ეკელა ეს ამბები მოხდა 532 წელს და რასან ამ დროს ვახტანგი იყო 60 წლისა, მაშ იგი დაბადებულა 472 წელს. და ამ წლებ შორის კი (472—532) მართლაც მოჭხდა ეკელა ის ამბები, რაც მოთხრობილია მატეანეში ვახტანგის შესახებ.

ა) სპარსეთში მეფობის ოთხი ყაენი: ორმუზდ III და მისი ძმა ფირუზი (+488 წ.), ბლატ (488—491 წ.), კობად I (იგივე კაბად) (491—531 წ.) და ხოსრო I (531 წ. 13 ნოემბრისთ.—579 წლ. თებერვლამდე).

ბ. ვახტანგის ცხოვრების ქრონიკონები:

ვახტანგის გამეფება 479 წ. (472+7) <sup>3)</sup>

გალაშქრება ოსეთს 488 წ. (472+16) <sup>4)</sup>

საბერძნეთს ლაშქრობის გაპირება 494 წ. (472+22) <sup>5)</sup>

საბერძნეთს გალაშქრება 499 წ. <sup>6)</sup>

პირველი ომი სპარსებთან 504 წ. (491+3) <sup>7)</sup>

წამება წმ. რაქედენისა წრომს 504 წ. <sup>8)</sup>

ზავი ქართველთა და სპარს-ბერძენთა შორის 504 წ. <sup>9)</sup>

წ წლის დაჩის გამეფება და ვახტანგის წასვლა სალაშქროდ „ინდოეთს“ 504 წ. <sup>10)</sup>

<sup>3)</sup> 7 წლისა ტახტზე დაჯდა.

<sup>4)</sup> 16 წლისამ ოსეთს გაილაშქრა.

<sup>5)</sup> 22 წლისა იყო მაშინ.

<sup>6)</sup> მირიანიდან ქრონიკონი იყო 157 (342+157=499).

<sup>7)</sup> სამი წელიწადი გასულიყო ბერძნებთან ომის შემდეგ.

<sup>8)</sup> პირველი შემოსევის უამს იწამა.

<sup>9)</sup> ეს იყო სპარსთ შემოსევის წელს (ქ.-ცხ., გვ. 137).

<sup>10)</sup> იქვე.

ვახტანგის დაბრუნება და კათალიკოზის განწესება 512 წ. (504+8)<sup>11)</sup>

სვეტიცხოვლის აშენება მცხეთას 512 წ. <sup>12)</sup>

ტფილისის აშენება 531 წ. <sup>13)</sup>

ვახტანგის სიკვდილი 532 წ. (472+60). <sup>14)</sup>

გ. ზემოთ კითხვით, რომ «ახსოვა ცხოვრება» ვახტანგის სიკვდილის წელიწადს დასდებს «ქკსა: რნე, დასაბამიდან: ხელთ.» ესეც სწორია: ა) ქორონიკონი რნე (155) ქრისტესით=780—248=532 წ. და ბ) ქორონიკონი ხელთ (6539) დასაბამიდან=6539—(5604+248+155)=532 წ.

დ. რომ კათალიკოზის განწესების წელიწადიც სწორკა ჩვენ მიერ ზემოთ გამოანგარიშებულ 512 წელიწადთან შედარებით, ესეც მტკიცდება თვით ქართლის ცხოვრებისა და «ქართლის მოქცევის» ჩვენებითა და ქარაზნიკონით.

ამ მათიანეებში სწერია: „ვახტანგ მეფემან დასვა პეტრს კათალიკოსი, და ესე იყო ქართლის მოქცევიდან (იგულისხმება მირიანის გარდაცვალების წელიწადი 342): რა წელსა, მეფენი გარდაცვალებულ იყვნეს ათნი და მთავარ-ეპისკოპოსნი ათცამეტნი, ხოლო პირველი კათალიკოსი იყო პეტრს“.

რა (170) წელიწადი მირიანიდან უდრის სწორედ 512 წელს (242+170=512).

თვით გარდაცვალებულ მეფეთა და მთავარ-ეპისკოპოსთა რიცხვიც სწორკა:

+ ათნი მეფენი: მირიან. რეკ. ბაქარ. მირდატ III. ბაქარ II. თრდატ. ფარსმან. მირდატ IV. არჩილ. მირდატ V. <sup>15)</sup>

<sup>11)</sup> რვა წელიწადს დაჰყო „ინდოეთის“ ომში და დაბრუნების წელიწადს განაწესა კათალიკოზი (ქ.-ცხ., 144).

<sup>12)</sup> იქვე, 155.

<sup>13)</sup> იქვე, 146.

<sup>14)</sup> იქვე.

<sup>15)</sup> ვახტანგის ცხოვრების აღსაწყისში, 157 ქორონიკონამდე მირიანიდან, მათიანე სთვლის ათ ნათესავს და რვა მეფეს, ხოლო ვახტანგის მიერ კათალიკოსის განწესებას ქორონიკონი იყო 170 და მეფენი „გარდა-

+ 13-ნი მთავარ-ეპისკოპოსნი: იოანე I. იაკობ. იობ. ელია. სვიმონ. იოანა. იოანე II. გრიგოლ. ბასილი. მობიდან. გლგოთქორ. იოკელ. მიქაელ.

მაგრამ ეს ცოტაა ვიდეკ. თვით ქართლის ცხოვრების მოთხრობა შესახებ ვახტანგ გორგასლისა და მისი თემის ისტორიის ცნობები შესახებ გურგენისა აგრეთვე არ განსხვავდებიან, ანუ, თუ განსხვავდებიან, განსხვავდებიან წვრილმანობაში.

აქვე ჩაუერთავ საზოგადო განხილვას გორგასალ—გურგენის დროის საქართველოს მდგომარეობის შესახებ. <sup>16)</sup>

საქართველო მდებარეობდა ბერძენ-რომაელთა და სპარსთა იმპერიებ შორის და რადგან მაგარი ადგილმდებარეობდა ჭჭუნდა და მეომარი ხალხით იყო დასახლებული, ამიტომ მისი მიმხრობა ორივე მხარეს ენუგვოდა. ხალხი ეს იმპერიები ძველი დროიდანვე ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ და სწორად იბრძოდნენ არათუ მარტო საქართველოს დანებებისათვის, არამედ მთელის სომხეთისა და მცირე აზიისათვისაც.

დროიწის სიკვდილის შემდეგ სპარსთა სასულემწიფო დაიბნო. სულელებების ნამუსრეკზედ გაბატონდნენ ჰართნი. ესენი სკვითის ტომისანი იყვნენ. ამთ გააგრძელეს თვისი მიუღობელობა ასრუთიდან ვასპის ზღვამდე და ინდუსტანამდე. სპარსთ ედოთ მძიმე უღელი 500 წლის განმავლობაში. ჰართთა სულემწიფე არტახანს ჭყვანდა სახელგანთი მეომარი—არდაშირი (იგივე ბაბეკენ—სასანი), რომელიც მოიძულა მეუკე და განაძო. არდაშირმა თვისი თავი გამაიცხადა სპარსთა ტახტის მპყრობელად. სპარსთ თავი მოიყარეს

„ცვალებულ“ იყო ათი. „ქართლის ცხოვრება“ მეფედ არა სთვლის რე ვს და „ქართლის მოქცევა“ კი მირდატ III-ს, მაშასადამე უამათოდ ვახტანგამდე უმეფნია მხოლოდ რვა მეფეს. კათალიკოსის განწესებამდე მეფედ იყო ჯერ ვახტანგი (479—504) და მერე მისი ძე დაჩი (504—512 წ.); (ვანუშტით დაჩი 499—514 წ.). მაშასადამე, თუნდ რევი და მირდატ III არ დავთვალეთ, კათალიკოსის განწესებამდე მაინც ათი მეფობა ხვდება: მირიან. ბაქარ. ბაქარ. II. თრდატ. ფარსმან. მირდატ (III). არჩილ. მირდატ (IV). ვახტანგ. დაჩი.

<sup>16)</sup> იხ. Эдуардъ Гиббонъ. Исторія упадка и разрушенія Римской имперіи.—Георгъ Веберъ. Всеобщая исторія.

მისს გარეშემო და აღიარეს იგი უაუნად (226 წ. ქ.-შ.). არდაშირი სამ-  
გზის შეებრძოლა ჰართთა მეფე არტახანს, სასულეკანად გაიმარჯვა,  
მოკლა თვით არდახანიც და აგრეთვე სომხეთის მეფეც.

ასრე გახლემწიფდა არდაშირ-ბაბეკენ-სასანი და ასრე დაიდო  
დასაწყისი სასანელთა დინასტიისა. ამ დინასტიამ იმეფა 425 წე-  
ლიწადი და ამდროს განმავლობაში ისეთი სიძლიერე გამოიჩინა,  
რომ, ხშირად, არათუ ქართველ-სომხეთს მეფეებს, არამედ თვით  
ძლიერ ბიზანტიის იმპერატორებსაც ბურთივით ათამაშებდა.

შუამდინარეს (ტვიგრეს-ეგფრატის ხეობანი) და შავ ზღვას  
აქეთი მხარე უაუნებს თავისად მიახნდათ. დარიოზის დროსაც ჩვენი  
იყო. სოლო გალაღებულნი იმპერატორნი ამობდნენ, საქართვე-  
ლცა, სამხეთიცა და შუამდინარეც ჩვენიად. ამ შეღჳმა და ცი-  
ლობამ გამოიწვია საშინელი ბრძოლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს  
შორის. ბრძოლის ასპარეზად შეიქმნა საქართველო, სომხეთი და  
მცირე აზია. არდაშირის დროიდან არაბების შემოსევამდე ეს ქვეუ-  
ნები ხან უაუნებს რჩებოდა და ხან იმპერატორებს, მიხედვისამებრ  
იქმნა, რომელი მათგან ძლიერობსილად გამოდიოდა ბრძოლის ვე-  
ლიდან.

მომუჳს მოკლე ნუსხა სპარს-ბერძენთა შეტაკებისა არდაში-  
რის დროიდან ვახტანგ გორგასანლამდე, რათა შევიტყოთ, რა გარე-  
მოება წინ უძღოდა მისს გამეფებას.

არდაშირმა დაიმორჩილა მრავალი ქვეუნიები. მისი მიფლობელობა  
უწევდა ერთის მხრით ტვიგრეს-ეგფრატამდე, მეორე მხრით კას-  
პიის ზღვამდე და რქსუსამდე, მესამე მხრით ინდის მდინარემდე და  
მეოთხე მხრით სპარსეთის სრუტემდე. არდაშირი შეებრძოლა რომ-  
მანელებს, გარნა ვერ წაართო მესოპოტამია (შუამდინარე). მისმა შვილ-  
მა საფორმა დაიპყრო სომხეთი და შეესია მცირე აზიას. იმპერატორნი  
გაღერინე შემოებრძოლა მას, მაგრამ ძლიერ და ტყვედ წაუყვანილ  
იქმნა. საფორმა იმპერატორად დანიშნა კირიადი (260 წ.) და გაა-  
ნადგურა ანტიოქია, დაიპყრა ასურეთი, კილიკია და აიღო კათბადუ-  
კიის ქალაქი კესარია, საცა იყო 400,000 მცხოვრები. გალიაში  
ჩასმული გაღერინე საჩვენებლად დაჰყავდათ და, რომ მოკვდა, გაა-  
ტყავს, მისი ტყავი თივით გამოტენეს და ჩამოჰკიდეს სპარსთა უშირ-  
ველსს ტაძარში.

296 წელს მესოპოტამიაში შეიბნენ საფორის მეძვედრე ნარსესი და იმპერატორი დიოკლიტიანე. უკანასკნელმა გაიმარჯვა. მტრებ შორის შეკრულ ზავის ძალით ატეხი დაიღვა მიჯნად იმპერიასა და საყაენოს შორის, სომხეთს დაენიშნა მეფე და საქართველოს მეფეების დანიშნავდნ იმპერატორებს დარჩათ. გარნა ასრეთი ყოფა დიდხანს არ გაგრძელდა. საფორ II-ემ მწავაღგან დაამარცხა ბერძენ-რომაელნი და სომხეთი, და საქართველო კვლავ დაიბრუნა. სომხეთში შევიდა თვით საფორი, ხელთ იგდო მეფე ტირანი, კებატანიის საზურობილეში ჩაგდო და მოკლა. სომხეთი ჩააბარა ერთს თვისს საყვარელ ხადუმს და უბრძანა, დაეზურა საქართველოს «მომარი კრი». აქ მასინ მეფობდა საკრომაკი (=საურმაგი), ხელმწიფედ დადგენილი რომაელთაგან. სზარსთა მოსკლისავე უმაღ საკრომაკი გაიქცა. «მეფეთა მეფემ» საქართველოს ხელმწიფეთა გვირგვინი მისცა ერთს თვისს მოძულეულ ქვეშევრდომ მთავარს—ასზაკურს (=ასფაგური). ამ ასზაკურის ცოლშვილი ტყვედ იყენენ სზარსეთში. ასზაკურმა და საკრომაკმა ძმურად გაიყვეს საქართველო (365—378 წ.). რომაელებს შინაური საქმე გამოუჩნდათ. მათი ღაშქარი წავიდა. საფორი შეიქმნა ბატონად აღმოსავლეთისა.

378 წელს რომ მოკვდა 70 წლის საფარი, სზარსთა სახელმწიფოს საქმეები აირია. სომხეთმა და საქართველომ თავისუფლად აღმოსრთქეს, მაგრამ მცირე ხნით. იმპერ. ვალენტის ბრძანებით შებოტეს სომხეთის მეფე ზარა და მოკლეს, ხოლო თვით სომხეთი შუაზე გაიყვეს სზარს-რომაელებმა 431 წელს.

ამავე დროს მთელი იმერეთი (ლაზიკა, კოლხიდა) კეისრის კუთვნილებად ითვლებოდა. აქ იყო მაგარი ციხე-ქალაქები: არქეოპოლი (ცხუმი), ვარდციხე (როდოპოლი), მუხირეზისი (თუსარისი ჭოროხსზე), ქუთაისი, უსამერიანი (არქელის გორა), სვანდა, შორაზანი. 457—461 წლებში სვანები ებრძოდნენ ღაზებს (კლარჯუბს). ღაზთა მეფე გუბაძე მიემხრო კეისარს, სვანნი კი ყანს. გუბაძე წავიდა კოსტანტინეპოლს. მას ეცვა სზარსული ტანისამოსი და ჭყვანდა მცველები. გუბაძემ პირმოთნობა იხმარა, რომ დაემსახურა კეისრის ქება და ამასთანავე კეისარს დაუმტკიცა ქრისტიანულს სიძ-

ბოლოს აღვიარებო. ამ დროს სპარსნი და იკენი ებრძოდნენ ჭრინებს. 17)

ჩვენ უკვე ახლოს ვართ ვასტანგის დაბადების დროსთან, მესამე საუკუნის გასულს საქართველოში გამოეფადა სასანელოთა დინასტია. მოგვარე მეფეების გასელმწიფება საქართველოში ყაენების სიამაყე იქნებოდა, თუ ამ მეფეებს არ ელადატნათ ცეცხლის მსახურებისთვის და არ გაჭრისტიანებულყენენ ერთუერთ. ყაენებმა კარგად იცოდნენ, რომ საწმინტოებრივი ერთობა ორთა სასელმწიფოთა შორის მოასწავებდა თვით პოლიტიკურს ერთობასაც. და ამიტომ მათს მრისხანებას საქართველოს გაჭრისტიანების შემდეგ საზღვარი აღარა ჰქონდა. ახლა იგინი ცდილობდნენ საქართველოს დამონებას არათუ მარტო პოლიტიკურად, არამედ სულიერადაც, საწმინტოებრივის მხრავაც.

სპარსთა საწმინტოება იყო ცეცხლისა, სინათლისა და მზის მსახურება. სპარსეთში 80,000 მოგვი იყო. გისაც ჰსურდა ცხოვნება, გურთხევა უნდა მიეღო «დესტურისაცანა» 18). იგივე საწმინტოება მოგვება - დასტურებითურთ იყო ჩვენშიაც და ახლა რომ ეს საწმინტოება უგუჯდეს ქართველებმა, სპარსთ ემწკავათ და კინაღამ არ დაღუპეს საქართველოცა და მისი ახალნერგი რჯულოც.

მირიანი რომ მოინათლა ქართველებითურთ, არ გაჭრისტიანდა რანის კრისთავი ფეროზი, სიმე მირიანისა. მისი გაჭრისტიანება მოხდა მხოლოდ შემდეგში, მაშინ, როდესაც მირიანის ძემ ბაქარმა დაუთმო სამშვილდიდან მიღმართ ახრცამდე და მაგერად რანი თითონ დაინარჩუნა.

სწორედ ამ ხანს იყო დიდი ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა შორის საქართველოს განაწილების შესახებ. და ეს ბრძოლა დასრულდა მით, რომ დასაკლეთის საქართველოში მეფედ დაჯდა ბერძენთა მომხრე სავრომავი და აღმოსავლეთისაში კი ახვავური (=მეფე კარაზბაკური=(გარ)ასბაკური).

ქართლში შემოვიდა ყაენის სპასალარი, სოფელ ტფილისში ააშენა შურის ციხე, დახარკა მეფე და წავიდა. მთელი კლარჯეთი ბერძნებს დარჩათო, — ამბობს ქართლის ცხოვრება.

17) გან. ნაწილი II, გვ. 67—69.

18) „დესტური“ იგივე ჩვენებური დასტურია.

როდენიმე წლის შემდეგ კვლავ ეწვივნენ საქართველოს სპარს-  
ნი, დაიპყრეს ქართლი, «გარყვნეს ეკლესიანი» და «აღაგზნეს ცეცხ-  
ლად», ხოლო ქართველებმა «ჯვარები დამალეს». ქართლის გამგეობა  
ყაენმა ჩააბარა ბარზაბოდს, რომელიც იყო ერისთავი რანისა, მო-  
კავანისა და ადარბადაგანისა. ამ ბარზაბოდმა ქართლ-ჭყვეთის ერის-  
თავად დანიშნა ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი გლონოქორ. მეფე  
მირდატი კი ტყვედ წაიყვანეს და ტყვეობაშივე მოკვდა.

სამს წელიწადს ამერთი უმეფოდ დარჩა. ამის შემდეგ გან-  
ტანგ გორგასალის შავა აჩილი მიემხრო ბერძნებს, «გამოაჩინა  
ჯვარნი», ეკვლესიები შეამკო და ცეცხლის მსახურნი განდევნა. მ-  
ლე მეფე დაემოყრა ბარზაბოდს და მისი ასული სანდუსტი ცო-  
ლად შერთო თავის შვილს მირდატს. სანდუსტი ცეცხლის მსახუ-  
რი იყო. მას მიჭკარეს «რჯულის მეცნიერნი კაცნი», რომელთაც  
უთარგმნეს სახარება. ამის შემდეგ სანდუსტი მონათლა.

ამ სავალალო დროს ორად გაყოფილი საქართველო მთლად  
მისუსტებულიყო, და ეკვლესიაც რაღაც «ორობას» წარმოადგენდა—  
ქრისტიანობასა და ცეცხლის მსახურებას. მთავარეპისკოპოსად  
მცხეთაში იჯდა სპარსი მობიდან, რომელაც მხოლოდ გარეგნო-  
ბით ჭკვანდა ქრისტიანეთს ეპისკოპოსს, ხოლო გულით კი იყო  
«ურჯულო», შემშლელი ქრისტიანულ წესთა, ნამდვილი მოკვი  
და ფარულად მწერალი საცთურების წიგნებისა «.

აგერ სანდუსტ დედოფალი, დედა განტანგისა და ასული ბარ-  
ზაბოდისა, რანს მისულა, ამოუყრა მუძუები, პირქვე დამხობილა  
მამის წინაშე, შირი დაუდგია მისს ფეხებზე, რომელთაც ალტობს  
თვისის ცრემლით. იგი ითხოვს შეწყალებასა და შენდობას და  
ეკადრება, არ ამოუღოს დატყვევად ქრისტეს სჯულისა და მოუწავ  
ეჭმეს სპარსთა მეფის წინაშე. ვარგო, — უზასუსებს ქართველთა  
დედოფალს მძლავრი ბარზაბოდ, — იმულებით არავის დაგატყვები-  
ნებთ ქრისტეს რჯულს, გარნა თქვენს ქალაქში გამოგზავნი ცეცხ-  
ლის მსახურ ეპისკოპოსთ და «ვინცა ქართველი ნებითა თვისი-  
თა აღირჩევს სჯულსა ჩვენსა, ნუ დაუშლით».

დედოფალი დაბრუნდა. ბარზაბოდმა მცხეთას გამოგზავნა ცე-  
ცხლის მსახურნი და მათზედ ეპისკოპოსად ბინჭარი.

ჯვარსა და ცეცხლს შორის გაიძვრა ბრძოლა, ბრძოლა არა თანასწორი, რადგან ცეცხლის მხარეს იყო სიძლიერე უაქნისა. ბინქარ კვისკობოსი იწვევდა ერს ცეცხლის გარეშე, ქრისტიანეთა მღვდლები კი ჯვრის ტვირთად. მოგუთას (არმაზს) ისევე ძველებურად მოგვნი მოგვობდნენ, ხალხ შიგ მცხეთაში კი მღვდელნი მღვდელობდნენ. კრი გაიყო ორ ბანაკად: წარჩინებულნი ქრისტიანებად დაჩნენ და არ უღალატეს ნინოს-მიერ განთესილ სწავლას, ხალხი «წერილისა ერისაგანნი ცეცხლის მსახურებას შეუდგნენ». დედოფალი და წარჩინებულნი გრძნობდნენ საშიშ მდგომარეობას და იმის მეტი ღონე არა ჰქონდათ, რომ საყდრის დასაცველად მოეყვანათ საბერძნეთით «ქეშმარიტი მღვდელი» მიქელ და იგი დაეღვინათ ქრისტიანეთა კვისკობოსად.

კასტანგ გორგასალი, რომელიც შვიდი წლისა დაობდა, ჯერ ისევე ყრმა იყო. მას ასწავლიდა ხსენებულნი მიქელ კვისკობოსი და რომ 15 წლისა შეიქმნა, «ბრძენსა» და «ფილოსოფოსს» დაემსგავსა.

ამ 15 წლის ჭაბუკმა მოუწოდა ყველა წარჩინებულ კაცებს, «შემოკრიბნა ყოველნი ქალაქნი», მამაზადა ერთი სახლი, დაჟდა «საყდართა ზედა მალაქთა» (სამეფო ტახტზე), ჯუანშერ სხასზეტი და ორნივე კვისკობოსნი (ამათგან ერთი ალბად იყო მთავარკვისკობოსი და მეორე სამთავრელი) დასხდეს საყდართავე, და სხვანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სულებითა, ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი კრი წარმოდგეს ზე, და ყველა ამით ახალგაზდა მეფემ უთხრა: «...არა დავითმინო კიცხვაჲ ოვსთა... ვიძიოთ შური მათზედა. უკეთუ წაგვეკიდებოდა ესე სპარსთა მეფისაგან ანუ ბერძენთა მეფისაგან, მოვითმენდით. არამედ რაჲ მოწვევულ არს ჩვენზედა ოვსთა კაცთაგან, არა ჯერ არს მისი დათმენაჲ, სიკვდილი სჯობს თავთა ჩვენთათვის».

ჯუანშერ სხასზეტმა მეფეს უჩნია, შენ ჯერ ჭაბუკი ხარ, დაშქარი რომელსამე ჩვენთაგანს ჩაბარე და შენ შინ დაჩნო, გარნა მან არ ინება. «მე არა ვარ მორჩილ ზრახვისა მაგის შენისა. ყოველნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამიყოფიან, ვითარცა მყოფსა ბნელისასა. სიწყალული დისა ჩემი-

სა განლევს გულსა ჩემსა, ვითარცა მახვილი ცეცხლისა. სიკვდილი მიჩვენია თავისა ჩემისათვის, ვიდრელა სიცოცხლე. მინდობითა ღვთისა და წინამძღვარობითა ჯუარის პატიოსნისა თავით ჩემით წარვალ და ვესაე მრავალ მოწყალებათა მისთა, რათა არა განმწიროს და მომცეს ძლევა».

მეფის მტკიცე სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა ყველანი და ერთხმად შეჭდაღაღეს: «ცხონდინ, მეფეო, უკუნისამდე. იქმნეს განზრახვაჲ შენი. ღმერთმან დამბადებელმან მოავლინეს ანგელოზი თვისი ძალად შენდა და დასცენ ყოველნი მტერნი შენნი».

გადასწყდა ოსეთს გალაშქრება.

ოსები და ჩრდილოეთის ველურები საქართველოში თარეშობდნენ 457 წლიდან. სწორედ ამ წელს სარაგურები და აკატირები შეცვივდნენ სპარსეთში, გარნა კასპიის კარები გამაგრებული იყო, ამიტომ პირი იბრუნეს და სხვა გზით შეიჭრიდნენ საქართველოში და გააოხრეს ქვეყანა, და აქედან დაუწყეს რბევა სომხეთის ქალაქებს<sup>19)</sup>.

ქართლის ცხოვრების სიტყვით, ურიცხვი ლაშქარი ოსებისა შემოვიდა ქართლში და მოახრჩა «თავითგან მტკვრისა სუნანამდე». მოახრჩეს ველნი. ცისე-ქალაქთაგან მოახრჩეს მხლოდ კასპი. აჭმაშინ იყო გახტანგის დაჲ მიჩანდუსტ, სჲმი წლის ყრმა. იგი ტყვედ წაიყვანეს. წარუტყვენელად დარჩნენ ხეკნი ქართლისა, კასეთი, კლარჯეთი, ეგრისი. ოსებმა ჩაკლეს რანი და მოკვანნი, მოტყვენვეს ეს ქვეყნებიც, განელეს კარი დარუბანდისა, «რამეთუ თვით გზაჲ სცეს დარუბანდელო», და შევიდეს ოსეთს გამარჯვებულნი. და ასრე თარეშობდნენ ეს ველურნი 5-ს წელიწადს.

რადგან ეს ჩრდილოეთის ველურნი მტრობდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ თვით სპარსეთსაც, რადგან აოხრებდნენ მის გუთნილ ქვეყნებსაც, ამიტომ ოსეთზე გადასქრება სასურველი იყო თვით უაენისათვისაც. უაენისა და რანის ერისთავის ნება-დაურთველად და შემწეობის აღმოუჩენელად გახტანგს არ შეეძლო გადაეღახა კავკასიონის ქედი. ამიტომ უწინარეს ყოვლისა მოცაქული წარგზავნა რანს, საცა მასინ მთავრობდა მისი დედის ძმა კარაზბაგუ-

<sup>19)</sup> გან. ნაწილი II, გვ. 14.

რი, «აუწყს ლაშქრობად ოკსეთისად» და ითხოვა შეწევნა. მან სიხარულით მიიღო მეფის თხოვნა, «რამეთუ ქვეყანად მისიცა ტყვე ქმნილ იყო ოსთაგან», და გამოუგზავნა 12,000 მხედარი. ვახტანგმა შეჭურა 100,000 მხედარი და 60,000 ქვეითი ლაშქარი და გასწია დარიალისაკენ. მან შემუსრა ოსნი, გავლო დარიალის კარი, დაამარცხა მრავალი გელურნი ხადხი, გაიარა აზოვის ზღვამდე, გადმოვიდა აფხაზეთს და მცხეთას მშვიდობით დაბრუნდა აურებელის ალაფითა, ტყვიითა და თავის დიო მიჩანდუსტით, რომელიც დამარცხებულ ოსებმა მოჭგვარეს მეფეს.

ეს ძველამოსილი ლაშქრობა იმოდენად დიდი და მრავალმნიშვნელოვანი იყო, რომ იგი ღრმად ჩანერგილა ერის მეხსიერებაში. აი თვით ხმაც მისი გამარჯვებისა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა:

ციდან ჩამოესმა რეკა;  
იალბუზზედ ფეხი შედგა,  
დიდმა მთებმა იწყეს ღრეკა;  
ოსებში გადაიარა,  
ჩერქეზები გადარეკა.

საკვირველი ის არის, რომ, როგორც გადმოგვცემს, ი. ყაზიბეგის-მიერ ჩაწერილი ჩერქეზთა ლეგენდა, ეს დიდი მეფე, თურმე, დღესაც ახსოვთ ჩრდილოეთ კავკასიელებს!

ვახტანგ გორგასალი შორს-მხედველი მეფე იყო. ლაშქრობიდან დაბრუნებისაკე უძალ, უწინარეს ყოვლისა, წარსცა ძველი იმით, რომელთა ნებართვითა და შემწეობით მან შემუსრა ძლიერება ოსთა, ყივჩაყთა, პაჭანიგთა, ჯიქთა და სხ.

ყაენის წარმომადგენელს კავკასიაში, რანის ერისთავს ვარსზაკურს გაუგზავნა: 1000 მონა, 1000 ცხენი სასეადარი და 1000 სრდალი ცხენი.

ყაენს მიართვა: 10,000 მონა, 10,000 სრდალი ცხენი, 10,000 სასეადარი ცხენი. ამ ძველის მიმართმეკად ყაენისათვის ვახტანგმა ამოიჩინა შემორე ხსენებული ბინჯარ კმისკომოსი და თან ყაენისაგან ითხოვა ცოლად მისი ასული ბაჟენდუსტ.

ყველა ამით, უჭკველია, ვახტანგს ჭსურდა დაემტკიცებინა თვითის უზენაესის მიფარველისათვის, რომ იგი ერთგული მონაა სა-

ყენო ტახტისა და არც სდეკნის ცეცხლის მსახურებას, რის საბუთადაც ჩათვლება ცეცხლის მსახურ ბინჯარ ეპისკოპოსის ელჩად წარგზავნა ყენის წინაშე.

და მართლაც, ყენმა დიდად დაუმაღლა ვანტანგს ერთგულობისათვის და იმისთვისაც, რომ მან ყენის სახელითა და შემწეობით შემეუსრს სპარსთა იმპერიის დაუძინებელი მტერნი—ჩრდილოეთ კავკასიის კელურნი.

ეს ცოტაა კიდევ. ვანტანგის ერთგულობა სასიხარულო იყო მითაც, რომ სწორედ ამ დროს ბერძნები აქმალნენ სპარსეთს და აღმოსავლეთში წამით-წამს მოკლდნენ დიდს და საშინელ ამბებს. მამაც ქართველთა მეუღის მომხრეობა ყენს უღვიძებდა იმედებს, რომ მისი მხედრობა გაიმარჯვებდა მცირე აზიასაც. ამიტომაც ყენმა მადლობით მიიღო ძღვენი, ცოლად გამოეუგზავნა ბატონიშვილი ბაქენდუსტ, რომელსაც მზითვად მოსცა «სომხეთი და ყოველი მეფენი კავკასიანთანი», და ამასთანავე ვანტანგს უბრძანა გასაშქრება წინააღმდეგ კეისრისა.

ყენისაგან ვანტანგისადმი მოწერილ წიგნში ეწერა: «**ჭუკმიზდისაგან**, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვანტანგის მიმართ ვარანხვასრო-თანგისა, ათთა მეფეთა ახოვანისა»<sup>20</sup>).

ეს ჰურმიზდი არის სპარსთა ყენი ორმუზდ III, რომელიც თავის ძმასთან ფირუზთან (ფეროზი) ერთად მეფობდა 457 წლიდან 488 წლამდე. ვანტანგის დროს ორმუზდ მეორე კერ იქ-

<sup>20</sup>) აქ საჭიროდ ვთვლით შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელი „ვანტანგ“ არის შემოკლებული ფორმა ვარან-ხვასრო-თანგისა; ამ სიტყვების დასაწყისს ასოებში იკითხება **ვანტანგ** ანუ **ვანთანგ (ვარან-ხვასრო-თანგ)**. ნამდვილი, ნათლისდების სახელი ამ მეფისა უნდა იყოს გიორგი (მდაბიურად გორგი, რომლისაგან წარმოსდგა ა) გორგისეული (გორგასალი, გურგასალი, გოლგასალი) და ბ) გიორგიანი, (გორგერი, გურგენი, კურკენი, ბერძნულად). ჩვენს მეფეებს, რომელთაც ერქვათ გიორგი, სპარსელები გურგენს უწოდებდნენ. იგულისხმეთ „გურგენ-ხანი“ (გიორგი X) და სხვ.

ნებოდა ყაენად, რადგან იგი ხელმწიფობდა მეოთხე საუკუნის დასაწყისში<sup>21)</sup>.

მიიღო თუ არა ბრძანება ყაენისა, ვახტანგი შეუდგა საღამო-ქროდ მზადებას. მაშინ იგი იყო 22 წლისა. მაშასადამე, ეს იყო 494 წელს (472+22). ვახტანგმა გასცა ბრძანება და საომრად მოიწვია გაგკასიის მეფეები. მოვიდნენ მეფეები დარუბანდისა, მოვიკანისა ბორსო, ლეკთა მეფე აზაჯაჯ და სხ. შეიყარა ლაშქარი 200,000 კაცი და დადგა მტკვრის იმიერ და ამიერ. ყაენის ბრძანებით მოკადა აგრეთვე ვახტანგის დედის ძმა ვანზბაკერი, ერისთავი რანისა და მოიყანა 200,000 მსუდარი ადარბადაგანიდან, რანიდან და მოკანიდან.

ამსახარში გავიდა ხუთი წელიწადი. მირიანს აქეთ გასულიყო 157 წელიწადი (342+157=499 წ.). შემდეგ ამისა ვახტანგი წაუძღვა ამ დიდძალ ლაშქარს და შევიდა სომხეთს, ჰერაქლასთან მოერთნენ სომხეთის ლაშქრით ერისთავნი: სივნელი არეკ, ასფორაგნელი ჯვანშერ, ტარაკნელი ამზასუ და თრდატ. ალფა შემოარტყეს კარანზოლს (კარნუ-ქალაქს, ანზრუმს). სპარს-ქართველ-გაგკასიელთა ლაშქარმა თავზარი დასცა ბერძნებს და, რომ მეტი-მეტად გაჭირდა საქმე, ბერძნებმა, როგორც ამბობს ქართლის ცხოვრება, საიდუმლოდ მიიბირეს ვახტანგი. ელჩი კეისრისა ეუბნებოდა ვახტანგს: «ბერძენნი ნათესავნი ლეთისანი არიან აღთქმისა მის-

<sup>21)</sup> ყაენები სასანიდთა გვარისა: არდაშირ-ბაბეკენ-სასანი (არტაქსერქსი) (226—240), შაბურ (საფორ) (240—271), ორმუზ I (271—272), ბაპრან I (ვარან) (272—276), ვარან II (ბარამ) (276—293), ვარან III (293—294), ნარსეს 294—303), ორმუზ II (303—309), შაბურ II დიდი (309—380, არდაშირ II (380—383), შაბურ III (383—388), ბაპრან IV (ვარან, ბარამ, ქირმანშაჰ) 388—399), იეზდიგერ I (იეზდედშირ) (399—419), ბაპრანგურ V (ვარან, ბარამ) (420—440), იეზდიგერ II (ვარან VI) (440—457) ორმუზ III და მისი ძმა ფირუზი (ფეოლოზი) (457—488), ბალატ (ბალაშ, ვალარშ, ვალენტ) (488—491), კობად I (კობად, ძე ფირუზისა) (491—531), ხოსრო I ანუ შირვან დიდი (531 13 ენკენ.—579 თებერ.), ორმუზ IV (679—591), ხოსრო II (591—628), შირუეს (სიროეს), არდაშირ III, ბარამი, იეზდიგერ III († 649 წ.). ამ წელს არაბებმა მოსპვეს სასანიდთა დინასტია.

თვის, რაჟამს უწოდა მათ შვილად ღვთისა და მოსცა მათ ბეჭედი, რომლითა შეჰმუსრა ჯოჯობნეთი და არს იგი ჯვარი. შენ მიერ აღზნებული ცეცხლი შენვე დაშრიტე და მეგობარ იყავ კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა (ქცხ., გვ. 125). ამასთანავე კეისარმა გამოუგზავნა მეფეს ჯვარი, სამეფო გვირგვინი და შესამოსელი და აღუთქვა, რომ დაგებრუნებ თუნხარისის ციხეს (ჭოროსხეა) და ქართლის საზღვრებსო (ქცხ. გვ. 128—129).

ვასტანგსა და კეისარს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა დიდის სიფრთხილით, რადგან შიშობდნენ, ყანმა არ შეგვიტყოსო. ხალხი ყანი უკვე თვით მოდიოდა საბრძოლველად. მოლაპარაკებაში ვასტანგის მხრივ მონაწილეობას იღებდა მისი მამამძუძის სპასპეტის საურმაგის ძმა ვარაზმირი, ხალხი კეისრის მხრივ მღვდელი შეტრე და მონაწილი სამოკელ. კეისარი რომ შონტო ქალაქს გამოვიდა, ვასტანგის მოციქულებმა მიართვეს მას 1000 მუტკალი მუშკი, 500 ამბრი და 1000 ლიტრა ალგამ.

თუმცა ყოველივე ეს დიდის საიდუმლოებით მოცული იყო, გარნა რანის ერისთავმა შეიტყო მეფის დალატი, მიიჭრა მის წინაშე და უთხრა: «ჟ, გველო და ნათესაო ასპიტისაო! შენი მამის დედაჲ ბერძენი იყო და გძლო შენ დედის ბუნებამან შენმან, ჯვარცმულისა და მომკვდარ კაცის სიყვარული გიპყრია და გნებავს შეყენება ჩვენი ხელთა ბერძენთასა».

ვასტანგმა მხოლოდ უთხრა: «აჰა, შენ და ბერძენნი. იხილავ მომკვდარი კაცის ძალსაცა და ცეცხლისასაც, რომელსა შენ ესავ».

დააყვირეს საყვირები. ვასტანგი ქართველებითურთ განზე დადგა. სპარს-ბერძენთა შორის ასტყდა საშინელი ბრძოლა. ბერძნებმა მოკლეს 27,000 სპარსი, მოკლეს აგრეთვე რანის ერისთავი ვარაზბაგურნი (ვასტანგის დედის ძმა), ლეკთა მეფე იშაჯაჯი, მოგანის მეფე ბორზო. მეორე შეტაკებაში მოიკლა 43,000 ვასტანგის მიერ წაყვანილ ლაშქართაგან და 72,000 ბერძენი. და აქვე მოკლულ იქმნა კეისრის სპასპეტი პალეკარტოს ღოდოთელი.<sup>22)</sup>

<sup>22)</sup> შეადარე ბერძნების დავისთვის, მათის ჯარის სენაალარს.

ამის შემდეგ მეფე ვასტანგმა გაანთავისუფლა 780,000 ტყვე-ბერძენი, კეისრის წინაშე გაგზავნა კრისტოფი წუნდისა ნასარ და სამშვიდდისა ადარნასე და ითხოვა ცალად მისი ასული ელენე. კეისრად მასწინ იყო ანასტასი, რომელმაც თვისი ასული დაწინდა ვასტანგზე და მეფეს დაუბრუნა ციხე თუხარისისა, კლარჯეთი შავი ზღვიდან ანსიან-მთამდე და ეგრისის წყლამდე.

ასრეს ქართლის ცხოვრებით. ამასე უკეთესს დროს ვასტანგი კერ მოიხელეობდა, რომ ჯვარი ამოეყარა სპარსელებისა, რომელთა მეოხებით ქართველთა მეფენი უკიდურესად დამცირებულ იყვნენ და ქართველთა ეგვლისა ცოდნა-ღა ბუუტავდა, შევიწროებული და შევინებულნი ცუცხლმსახურთაგან.

გობობნის ისტორია<sup>23)</sup> ამ ამბებს მოკლედ გადმოგვცემს. ანასტასი კეისრის სიმუნწემ განხეთქილება ჩამოაგდო სპარსთა და ბერძენთ შორის. ყანს მიემხრნენ ჭუნნი და ანაზნი. მტრები შეიბნენ მცირე აზიაში. იბრძოლეს სამი თვე და ამ სამს თვეში კობად ყანმა დაჭკარგა 50,000 მეომარი. რძი გაგრძელდა სამს წელიწადს. ყანი გარს შემოარტემოდა ქალაქ ამიდას და კერას გზით კერ იღებდა მას. ყანი ბრძლით იხრჩობოდა. ქალაქის დედაკაცნი ციხის თავზე გადმოდებოდნენ ხოლმე, დასცინოდნენ სპარსელებს და თავიანთ სასიარტოებს ჩივენებდნენ. ბოლოს ყანმა შემუსრა ამიდა და ამოხოცა მისი 80,000 მცხოვრები. ანასტასიმ მიშვიდობა ითხოვა. ძლევა-მოსილი ყანი შევიდა კავკასიაში და გაამაგრა ივერიისა, ალბანიისა და დარუბანდის კარები. ყოველივე ეს იყო 502—505 წლებში.

ეს ასრეც უნდა მომხდარიყო. ძლიერი ყანი კერ ანატიკებდა ვასტანგს, რომ მან უღალატა თვისს უზენაესს მბრძანებელსა და ცუცხლის მსახურებსა.

გარნა ვასტანგი, რომელმაც გვირგვინი მიიღო კეისრისაგან, სასოებად, გაჭირების დროს იმპერატორი შემეწევას. ამიტომ ბრძოლის ეგვიდან რომ დაბრუნდა, «შეიბყრო ბინქარ მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა და მოსრნა და განასხნა ყო-

<sup>23)</sup> Эдуардъ Гиббонъ. Исторія упадка и разрушенія Римской имперіи, ნაწილი IV, გვ. 367—372.

ველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისა. სახლი ცეცხლისა დაავსო ფსლითა, მოგენი და გაზირნი მისცა სატან-ჯველსა ბოროტსა» (ქცხ., გვ. 133). ასრეთი სისასტიკე გასტანგისა ყაენს აცნობა იმავე ბინქარ ეზისკოზოსმა, რომელმაც მოასერსა საზურობილედან გაქცევა. მან ფეხსე დააყენა მთელი სპარსობა და ქართლს წამოიყვანა, გარნა თვითონ ბინქარი საქართველოს საზღვარსე მოკვდა.

სპარსთა მოსკვლამდე გასტანგმა აფრინა მოციქული საბერძნეთს და შემწეობა ითხოვა. გარნა ამ დროს თვით კეისარს მეტად უჭირდა. ჩრდილოეთის ველურნი კარს მოსდგომოდნენ. მარტოდ დარჩენილი გასტანგ შეიკეტა მცხეთაში და გაამაგრა დიდომ-არმაზი. სპარსნი მოვიდნენ და «დაბანაკეს ცხენის ტერფიდან ჩაღმართ». აქა-იქ ერთმანეთს შეეტაკნენ. სპარსნი არმაზს რომ შეებრძოლებოდნენ, მცხეთით ეშელებოდნენ; მცხეთას რომ შეებრძოლებოდნენ, არაგვსედ უხვდებოდნენ; მტკვრის ფონსედ გამოსვლას რომ დააპირებდნენ, «შეებნიან ფონსა ზედა ტფილისისასა», და ხან იმარჯვებდნენ სპარსნი და ხან ქართველნი. სპარსნი წრომამდის მივიდნენ, შეიპყრეს რაყდენი და, ქრისტიანობის მიღებისათვის, აწამეს. იგი დასაფლავებულ იქმნა ნიქოზს.

ამასობაში მოვიდა ამბავი, რომ ბერძენთა მეშეული ჯარი მოდიოდა, ჯავახეთს მოაწიაო. ყაენმა მოციქულის პირით შეუთვალა გასტანგს: «რად ვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენ ძმანი ვართ და ნებროთის შეილნი. უკეთუ ცეცხლი არს ღმერთი, იგი შეგვეწვევა. თვითეული ჩვენგანი მსახურებდეს სათნოსა სულისა თვისისა». გასტანგი იძულებულ იქმნა შერიგებოდა ყაენს, რომელმაც მეფეს მისცა გვირგვინი ანთრაკოვანი და დიდი ძღვენი მიართვა. გასტანგი მიეგება ყაენს კალის ველსედ და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ გადასწყვიტეს «თავის თავისა სჯულოსა ზედა გარდაუვალო» ყოფა. სოფელი ტფილისი და კალა თუმცა მოოხრებულ იყო, მაინც ამ სოფელში გასტანგმა მიიწვია ყაენი და უძღვნა მას: 1,000 მსკვლავი, 500 მონა, 500 სტაკრად საკრამინგი, 500 ბიზიონი რუზმა, 10,000 ხრდალი ცხენი, 500 ბარგის ცხენი, 300 ჯარი, 400 ძროხა, 10,000 ცხვარი.

აქვე იყო კეისრის მოციქული ლეონ. საბერძნეთის «სპანი ყოველნი სწავრეთს» იუგენო და «ბერძენთ ეშინოდათ, რომ სპარსნი საბერძნეთს არ შესულიყვნენ» და ამიტომ ლეონმა ითხოვა ყენი შერიგებოდა კეისარს. ყენი დათანხმდა<sup>24</sup>). ასურეთი და შუამდინარის ნახევარი თავისთვის აიღო და შავი ზღვის აქეთი მხარე ვასტანგისათვის მოითხოვა. ამნაირად სპარსეთსა და საბერძნეთს შორის ისევ დაიდო ის მიჯნა, რომელიც განსაზღვრულ იყო 365 წლის ხელშეკრულებით, შაბუჩსა და ილიანს (იბიმიანოზს) შორის (ქცხ., 136).

ყენმა ამის შემდეგ გაგზავნა თვისი მოსულესი ბარზაბანი და მოხიდან მისაღებად ქვეყანათა და ქალაქთა, რომელნიც ერგო სპარსეთსა და ვასტანგს. და თვით ვასტანგისაგან მოითხოვა ცოლად მისი დაჲ მირანდუსტ და აგრეთვე დააკალა მეფეს წაჭყოლოდა სპარსეთს, საცა აშლოდნენ მტერნი.

ამგვარად საქართველო კვლავ სპარსეთის ხელში ჩავარდა. მეორედ თავის სიცოცხლეში ვასტანგმა ყენს მიაართო ხარკი არა თუ მარტო საქანლითა და შვირფასეულით, არამედ მონა-მსკელებითაც. ჰეროდოტეს სიტყვით<sup>25</sup>), ყენები ქართველებს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ართმევდნენ 100 მონას—ჭაბუკსა და 100 ახალგაზდა მსკვალს. ახლა ყენმა ვასტანგს გამოართო პირველად 10,000 მონაჲ, ხოლო მეორედ 1000 მსკვალი და 500 მონა.

მეფე ვასტანგმა ყენის ბრძანება აასრულა. 5 წლის დაჩი მეფედ გამოაცხადა, ჩაახარა იგი შვიდს ერისთავს და თვითონ წავიდა სპარსეთს. ეს შვიდნი კაცნი, რომელთაც ჩაჭაბარდა საქართველოს დროებითი გამგეობა, იუგენს: სპასპეტი ჯუანშერ, მხყრ-

<sup>24</sup>) ტფილისის ხელშეკრულებად უნდა იგულისხმებოდეს იგივე ხავი, რომელიც დაიდო კობადსა და ანასტასის შორის 505 წელს (იხ. ზემოდ გიბზონის ცნობები), რადგან ამ წელიწადს ყენი შემოვიდა ივერიას და გაამაგრა დარუბანდისა, ალბანიისა და ივერიის კარები. ქართლის ცხოვრების მოთხრობითაც, ყენის გამოლაშქრება საქართველოზე ზედ მოჰყვა საბერძნეთის ლაშქრობას. და სპარსთა შემოსევა იყო არა 505 წელს, როგორც ამბობს გიბზონი, არამედ 504 წელს (იხ. ზემოთ ქორონიკონები).

<sup>25</sup>) განი, I, გვ. 16.

ბედი შიდა-ქაჩთლისა და მთელბედი ყოველთა ერისთავთა; დემეტრე, ერისთავი ვახუთისა და კუხეთისა; გრიგოლი, ერისთავი ჭკრეთისა; ნერსარან, ერისთავი სუნანისა; ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; სამანლირ, ერისთავი შიდა-ეგრისისა და სვანეთისა; ბაკურ, ერისთავი მარგუისა და თავკეკრისა.

მეფემ თან წაიყვანა სპარსეთს: არტვაზი, ერისთავი ქვარკვეთისა, ნასარ, ერისთავი წუნდასა, ბივრიტიანი, ერისთავი ოძრხისა და საურმაგი, მეფის დიდი ეჯობი<sup>26</sup>).

რუსეთში დაჰყო ვანტანგმა რვა წელიწადს და სამშობლოში რომ დაბრუნდა, განიძნასა იგი განეთავისუფლებინა სპარსთა მძლავრებისაგან და მიმხრობდა კეისარს. ამ საქმის განსორცხელებას იგი გზაშივე შეუდგა. როდესაც სომხეთ-საბერძნეთის საზღვარს მიაწია, იმპერატორს გაუგზავნა მოციქული და ითხოვა გათავისუფლად შეტრე მღვდელი და ეპისკოპოსად სამოელ მონაზონი. ხალხი მცხეთას რომ მოვიდა, კვლავ გაგზავნა დესპანი და იმპერატორს შეუთვალა: «კათალიკოზი და 12-ნი ეპისკოპოსნი სწრაფად წარმოგზავნე და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოზად და სამოელ ეპისკოპოსად» (ქცხ., გვ. 145).

ამასთანავე ვანტანგმა მოითხოვა გამოეგზავნათ მისი საცოლვე ელენე<sup>27</sup>), რომელსედაც დაწინდული იყო იმავე წელიწადს, როდესაც მოუკვდა პირველი ცოლი ბაქენდუსტ, ასული ყაენისა და დედა დაჩისა.

<sup>26</sup>) აქ მოხსენებულ პირთაგან ზოგი მონათესავე ანუ თანაშემწი იყო ვანტანგისა. ვანტანგის მამამძუძედ (აღმზრდელად) იყო სპასპეტი საურმაგ, რომელიც მოკვდა ოსეთზე გალაშქრების წინად. მისი ადგილი დაიკირა მისმა ძემ ჯუნშერმა, რომლის ძმა იყო არტვაზი, ერისთავი კლარჯეთისა და ძუძუსმტე ვანტანგ მეფისა. საურმაგ სპასპეტის ძმა იყო ვარაზმირ და საურმაგ ეჯობი იყო ამის შვილი. ბივრიტიანი იყო სეფე-წული (ქცხ., გვ. 110, 113, 119, 129, 140).

<sup>27</sup>) ქცხ., გვ. 132, 133, 145. ვანტანგის სიტყვით (ისტორია, გვ. 95, შენ. 1), ელენე იყო ასული ლეონისა; გარნა ამ იმპერატორს ელენედ წოდებული ქალიშვილი არა ჰყვანდა. მისი ქალები არიან და ლეონტია გათხოვილნი იყვნენ სხვა კაცებზე; არიან ცოლად ჰყვანდა იმპერატორ ანასტასის.

ვასტანგის თხოვნას საბერძნეთში დიდის სისწრაფით მიიღებდნენ, რადგან ამ თხოვნის აღსრულებით იმპერიას უსრულდებოდა მისი დიდი ხნის წადილი: აღდგენა და გაურტყლება კეისრის უსუნაეს ხელმწიფებისა იპერისას და კავკასიაზე. და ამ უფლების აღსადგენად უმთავრეს იარაღს იძლეოდა თვით ვასტანგ მეფე: იგი უარსწყობდა ყანს, უნათესავდებოდა იმპერატორს და იმპერატორსკე უთმობდა აფსაზეთს. უკვლავ ამის მაგიერ იმპერატორისაგან მეფე ითხოვდა მხოლოდ ეკკლესიის მოთავეს, ე. ი. კათალიკოსს. და ამ თხოვნის აღსრულება იმპერატორისაგან მით უმეტეს ადვილი იყო, რომ კათალიკოსი უნდა ყოფილიყო ბერძენივე და, ამასთანავე, ანტიოქიის პატრიარქის ხელქვეითი (ქცხ., 145).

და მართლაც, იმპერატორმა დიდის სისწრაფით გამორეკანა მეფეს კათალიკოსიცა და ეპისკოპოსნიც და აგრეთვე ცოლად ბატონიშვილი ელენე. ამას გარდა ვასტანგისათვის იმპერატორმა გაიმეტა მცირე ქვეყანაც: ელენეს მზითვად მისცა ეგრისწყალსა და კლისურას შუა მდებარე კუთხე.

ეს იყო (იხ. ზემოდ) ქართლის მოქცევიდან (მირიანისითგან) რო (170) წელსა, ე. ი. 512 წელს (342 + 170).

ზეტრე კათალიკოსსა და სამოელ მონაზონს და, ალბად, დანახენ თერთმეტ ეპისკოპოსთაც მეფე ვასტანგი იცნობდა 499 წლიდანვე.

ვასტანგმა საბერძნეთს რომ გაილაშქრა 499 წელს (იხ. ზემოდ), მაშინ მცირე აზიაში გაიწნო მღვდელი ზეტრე და სამოელ მონაზონი. ამათთან მეფეს ჰქონდა გრძელი საუბარი შესახებ საეკლესიო საქმეებისა, და იქვე გადასწედა ვითხვა, რომ საქართველოს ეკკლესიას მიენიჭოს კათალიკოსობა და პირველ კათალიკოსად დანიშნოს ეს ზეტრე მღვდელი (ქცხ., გვ. 124—128). გარდა მაშინ «მეფემ ვერ მოიცალა მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, რამეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოხვლასა, ამაგრებდა ციხე-ქალაქთა» (ქცხ., გვ. 133).

ეს 499 წელი ახლავს იმ დროსთან, როდესაც ანტიოქიის პატრიარქად იყო ზეტრე კნათე, რომელმაც, როგორც ჭეიქრობს ბრესსე, საქართველოს ეკკლესიას მიანიჭა კათალიკოსობა. «იტყვიან-

ნო, — ამბობს ბალსამონი, — რომ უწმიდესის ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს დროს მოხდა კრების განხილება, რომელმაც დასკვნაა, რომ ივერიის ეკკლესიას მიენიჭეს თავისუფლება და თვითგამკეობა ანტიოქიის პატრიარქის მოძღვრების სელ-ქვეშე».

451 წელს მოხდა სალკიდონის კრება. ამ კრების დადგენილებამ დიდი განხეთქილება ჩამოაგდო ეკკლესიებ შორის და დაჭაბდა მწვალებლობა «მონოფიზიტთა» (ერთბუნებოვანთა). სომხის ეკკლესიაც ამ უგანასკნელ სწავლას მიემხრო. თვით გასტანტინეპოლსა, ანტიოქიასა და სხვაგან ერთს აზრზედ არ იდგნენ. საწმუნოებრივმა უთანხმოებამ ბევრი სისხლი დასთხია ანტიოქიასა და გასტანტინეპოლშიც. პატრიარქებს მწვალებლობას სწამებდნენ და ამხობდნენ. 471 წლიდან 488 წლამდე ანტიოქიის პატრიარქი პეტრე კნათე სამეზის დასუეს პატრიარქად და სამეზისვე დაამსეს<sup>28)</sup>. თვით გასტანტინეპოლის ეკკლესია ორად გაიყო. მონოფიზიტნი სასტიკად ებრძოდნენ მართლმადიდებელთ. ამ უგანასკნელთა მტკნოი კეისარს ანასტასის (491—518 წ.) აზიოზის მომხრეობას სწამებდნენ. 511—512 წ. მრავალგან დაივარა ქრისტიანეთა სისხლი. იბრძოდნენ ერთსა და იმავე ეკკლესიაში. ერთსელ თვით მეფესაც შეუტაცებია მიაყენეს «სამწმიდაო ღმერთოის» საგალობელის თქმით.

საწმუნოებრივ კითხვებს გარდა ამ დროს ბიზანტიას თავზაჩს სტეპდა დანაბზედ<sup>29)</sup> გადმოედგარი ჭონთა ხელმწიფე. მეოთხე საუკუნის გასულს ჭონთა ურდოები გაიჭიმა ეოლგიდან დანაბამდე. კეისარმა მათი მოთავე დაშოშმინა ხარკის ძლეკით (433 წ.). მა-

<sup>28)</sup> ამ პეტრე კნათემ სისრულე მისცა „სამწმიდა ღმერთოის“ საგალობელს. სიტყვებს „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო“-ს პეტრე კნათემ მიუმატა: „რომელი ჯვარს ეცვ ჩვენთვის“. ამას კოლადიონმა მიუმატა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე“. პეტრემ ეს უგანასკნელი მინამატი უარჰყო (რობერტონ, I, 479). წმ. ეფთვიმე მთარგმნელი ამბობს (ეკკლ. მუხ. ხელნაწ. № 96, გვ. 92): „სომხებმა „წმიდაო ღმერთოის“ გალობას დაურთეს „წმიდაო უკვდაო, რომელი ჯუარს ეცვ ჩვენთვის, შეგვიწყალენ ჩვენ“. ეს მწვალებლობააო, რადგან მეოთხე პირი შემოაქვსო“.

<sup>29)</sup> გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ სვინაქსარში დანაბი სახელია მდინარე დუნაისი.

ლე ჭონების მოთავედ შეიქნა ატტილას «ღვთის ცეცხლი». მან დაიმორჩილა უმეტესი ნაწილი გერმანელთა, სკვითთა და ხაზართა. ჭონთა დიდ ძალი დასწავრი 441—442 წლებში შემოესია საქართველოსა და სომხეთს, შევიდა ასურეთში და თავზარი დასცა ანტიოქიას. აქედან მათ წაიღეს დიდ ძალი ალაფი და წარსდგნენ ატტილას წინაშე. 447 წელს ატტილას შეება კეისარს, რომელმაც მშვიდობა იყიდა 2100 გირვანქა ოქროთი<sup>80</sup>).

აი ეს ჭონნი მოსვენებას არ ამდგოდნენ ბიზანტიის იმპერატორს. მათ მადე დაიწყეს მთელი იტალია და თვისი საზღვრები დაუახლოვეს კონსტანტინეპოლს.

ამგვარ გასაჭირ დროს კონსტანტინეპოლს მივიდნენ ვასტანგ მეფის მოციქულნი. რაღა თქმა უნდა, ვასტანგის მომხრეობა (ეპკლეუსიური და პოლიტიკური) სწორედ შედმიწევნა იყო გაჭირებულ იმპერიისათვის, რომელსაც ამასთანავე შიში ჭჭნდა ყაენის მხრივაც.

და ამიტომაც კეისარმა ვასტანგის მიერ ამოწეული პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი წარგზავნა ანტიოქიას და იქაურ პატრიარქს მისწერა: «ესენი აკურთხე ერთი კათალიკოზად საქართველოისა და მეორე ეპისკოპოსად, ამათ გარდა კიდევ ამოირჩიე თერთმეტი სამღვდლო კაცი და იგინიც ეპისკოპოსად აკურთხეო და მერე ჩვენ წინაშე წარმოგზავნე, და ჩვენ კი საქართველოში გავისტუმრებთო».

პატრიარქმა შესრულა კეისარის ბრძანება. სამღვდლოება მოვიდა მცხეთას. ვასტანგმა იგინი დიდის დიდებით მიიღო. პეტრე დასვა კათალიკოსად, სამოელი სამთავრელად (მცხეთის ზემო ტაძარში), ხოლო დანაშთენთაგან თითო-თითო განაწესა: ახიზნ (კლარჯეთს), არტანს (ერუშეთს), წუნდას (ჯავახეთს), მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინოწმინდას, ჭერამს, ხორნაბუჯს (ქიზიყის ბოლოს), აგარაკს (სომხეთში) და შემდეგში ერთიც ნიქოზს (ქცხ. 146).

ყაენი ასრეთ საქციელს არ მოუწონებდა ვასტანგს, ბერძენთა ეპისკოპოსებისაგან საქართველოს ეპკლეუსიის გავსებას ვერ მოითმენდა სპარსეთის ძლიერი ხელმწიფე. ამიტომაც იგი უბრძანებს

<sup>80</sup>) გეორგ ვებერ. IV, 665.

ვახტანგს, კვლავ აღადგინოს საქართველოში წესი სპარსთა სარწმუნოებისა, მკვდრების დამარხვა აღერძლოს და გადაცვალებულთა გვამები ფრინველთა და ძაღვთა შეაჭამოს<sup>31)</sup>. გარნა კობადის ბრძანებას არ ემორჩილება მეფე და იმპერატორისაგან შემწეობას ითხოვს. იმპერატორი ელჩს გზავნის ქერსოკენეთს<sup>32)</sup> (ბოსფორში) ჭრნთს გამოსაყვანად და საშველად ქართველთა. ელჩი კერას არიგებს. იმპერატორი ლაზიკაში გზავნის პეტრე სპასალარს გურგენისათვის შემწეობის აღმოსახენად. ყენი გურგენის წინააღმდეგ გზავნის გარნიცაბას<sup>33)</sup> გურგენი მიდის ლაზიკაში დიდებულებითა, ძმებითა, დებითა, ცოლითა და შვილებით, რომელთაგან ყველაზედ უფროსი იყო პერანა<sup>34)</sup>. იქ მაგრდება მეფე და სპარსნი კერას აკლებენ. აქედან ქართველნი მიდიან ბიზანტიას. ყოველივე ეს მოხდა 521—527 წლებში<sup>35)</sup>.

ქართლას ცხოვრებაში მეფე ვახტანგის მოგზაურობა სასლახბითურთ მოთხრობილია სსკა ადგილას (გვ. 136—138). ყენის ბრძანებით<sup>36)</sup> ვახტანგი იძულებულ იქმნა წასულიყო ანტიოქიას, საცა მას ელოდა სპარსთა ხელმწიფე. ვახტანგმა თან წაიყვანა სამი კრისთავი და ერთი ეჭიბი, 10,000 მეომარი, თვისი ცოლი და დე-

<sup>31)</sup> გან. წიგნი II, გვ. 16.

<sup>32)</sup> სვინაქსარში, ქერსოკენეთი სახელია ბერძნების ხერსონისისა.

<sup>33)</sup> გან. II, გვ. 16.

<sup>34)</sup> ვახტანგ გორგასალს ბალენდუხტისაგან ჰყვანდა დაჩი, რომლის მარჩბივად შობიარობაზე დედა გარდაიცვალა. ელენესაგან ჰყვანდა „სამ ძე და ორ ასულ“. ამ სამ ძეთაგან ერთს ერქვა ლეონ და მეორეს მირდატ. მესამის სახელი არა სჩანს. იგი უნდა მომკვდარიყოს ვახტანგის სიკვდილის წინად (ქცხ., 149). ვახტანგს არც ძმები ჰყვანდა. გარნა ვახტანგისავე დროს იყვნენ მიჰრანი და გრიგოლ. ესენი იყვნენ მირიანის ძის რევის შთამომავალნი და ვახტანგი კი მირიანის ძის ბაქარისა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ვახტანგი მირიანსა და გრიგოლს ძმებად ხალოდეს, მით უმეტეს, რომ ერთ დროს ეს მირიანი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა (ქცხ., 121). თუ „პერანი“ (გან. II, 4, 16) ვახტანგის ძმა იყო, იგი იქნებოდა ეს მირანი, თუ ძე, ვახტანგის უფროსი შვილი ელენესაგან (ქცხ., 149).

<sup>35)</sup> გან. II, გვ. 15—16.

<sup>36)</sup> ეს ბრძანება მოიტანა ყენის სპასალარმა ბარზაბან (შეადარე ზემორე ხსენებულს ვარიცაბოას).

ბი. აქ ისინი დიდ სანს დაწინენ. მოილოცეს იერუსალიმი და სამშობლოში დაბრუნდნენ ჭა ვლის შემდეგ. თვისის გამგზავრების წინად კეისრის წინაშე ვასტანგმა ვაგზავნა დესპანად «კლარკეთისათვი» ერისთავი არტავ დიდის ძვეებით.

სწორედ ამ სანს (527 წ.), მსოფლიო ისტორიის მოწმობით<sup>37)</sup>, ლაზთა მეფის ზამნაქსის შვილი ჭათა წავიდა კონსტანტინოპოლს და კეისრის ისტინეს მოვარეულობა და მამის ტახტზე დამტკიცება ითხოვა: არა მსურს უანმა დამიმტკიცოს ტახტი, რადგან ამ შემთხვევაში იმულებული ვიქნები ავთანო მისი საწმინდოებათ. ჭათმა ქრისტიანობა მიიღო. ისტინემ გამოაცხადა იგი ლაზთა მეფედ და დაავიკრკინა. ცოლად მან შეირთო უაღვირანი, შვილის შვილი ვატრიკის და გურგოპლასტის ონინისა. შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში. მას ესურა რომელი გვირგინი, ეცვა თეთრი ქლამიდი წითელი აბრეშუმისა. პარფიის მაგიერ ჭქონდა ხელმწიფური ოქროს ფიცარი, რომელზედაც ღერჯის ფერადით გამოყვანილი იყო ისტინეს სახე. მასვე ბოძებული ჭქონდა გერული კვართი (stixaris), ოქრო და ბევრ მოვლებული, ისტინეს სახით. წადები, თვისის ქვეყნის წესისამებრ, წითელი ფერისა ჭქონდა და შემკული იყო მარგალიტებით. მარგალიტებითვე შემკული იყო მისი საბრეყელი. კეისრისაგან მან და მისმა ცოლმა მიიღეს მარგალი ძვირფასი სახეურები.

კობადმა ეს რომ შეიტყო, ისტინეს შეუთვალა: «ჩვენ შორის თუმიცა მეგობრობა და ზავია, შენ მანც მიტრობ მე. მაგალითებრ, ლაზთა მეფეს, ჩემს ქვეშევრდომს, შენ ჭმოსავ მეფურად, და იგი ვი არასოდეს რომაელთა ქვეშევრდომი არ ყოფილა, არამედ მუდამ სპარსთა უფლების ქვეშეა».

კეისარმა უზასუხა: «შენი ქვეშევრდომთაგანი ჩვენ არავინ მიგვიღია და არც მოგვიწვევია. გარნა ჩვენს ქვეყანაში მოვიდა ვიღაც ჭათი, მუხლის წინ დაგვივარდა და შემოგვესვენა გვეხსნა იგი წარმართთა უწმინდურ რჯულისაგან, უღვათ მსხვერპლმსახურებისაგან და ბოროტ სულთა ქენჯნისაგან. და ნება მივეცით მას მიეღო ქრისტიანობა, რადგან გვეკადრებოდა სახელითა საუკუნოისა და ზენა-

<sup>37)</sup> გან. II, 69—73.

რისა ღვთისათა და შემოქმედისა ყოვლისა ქვეყნისა. და რადგან მას სურდა უკეთესი საწმინდოება აღერხა და ერწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი, ამიტომ მისთვის დაშლა ან შეიძლებოდა. მოვაქციეთ რა იგი საქრისტიანო რჯულზედ და ღირს ვყავით ღვთიურ საიდუმლოთა, სამშობლოშივე დაკაბრუნეთ.

ამის შემდეგ კეისრის ლაშქარს ლაზიკაში ყოფნა გაუჭირდა. ლაზნი სანოკაგეს ან აწკიდინენ რომელებს. ამიტომაც მათ დატოვეს ლაზიკა. სპარსთ დაიჭირეს მისი სიმაგრეები და 528 წელს რომი გამოეცხადეს ჭათის. ამან შემწეობა ითხოვა კეისრისაგან. რომელნი შემოვიდნენ ლაზიკაში. მათი სპასალარები იყვნენ კელისარი, კერიკა და ირინე (პენდატის ძე). სპარსთ სძლიეს. კელისარმა ახლა გამოგზავნა სპასალარი პეტრე, რომელიც ლაზებთან ერთად დაეცა სპარსელებს და მრავალი მათგანი ამოხურდა.

ქართლის ცნობებით, ვასტანგის დროს შიდა-ეგრისისა და სკანეთის ერისთავად იყო სამინდირ, რომელიც უნდა იყოს ზემო-რე სსენებული ზამნაქს, ხოლო არტვან ერისთავი, «თავი კლარჯეთისა», რომელიც ვასტანგმა გაგზავნა კოსტანტინეპოლს, ალბად, იყო სამინდირის შვილი ჭათი<sup>88</sup>).

ბერძენ-რომაელნი ძველ დროიდანვე ლაზიკა-კოლხიდას თავისად სთვლიდნენ და ამიტომ საგვირგელო ან არის, რომ მათ აქ მეფედ დაესვათ ჭათი, რომელსაც საქართველოს კანონიერი მეფე ერისთავად უწოდებდა.

ამის შემდეგ გადის რამდენიმე წელიწადი. კობად ყანს უჯანყდებიან მისნი ქვეშევრდომნი. მოთავედ აჯანყებულთა არის მანდაგი, რომელიც ქადაგებს, რომ ცოლნი საერთონი უნდა იყვნენ. კობადი ამარცხებს მტრებს, ტახტს ისევ იბრუნებს და შემკვიდრედ აცხადებს თავის მესამე შვილს ხოსრო ნუშირვანს (ემართლმთქვა-რესა). ამასთანავე ყანი სთხოვს ისტვანე იმპერატორს (520 წ.) შვილად აიყვანოს ეს ხოსრო. ხოსრო მიდის საბერძნეთს, გარნა გზაზე იტყობს, რომ ისტვანე წინააღმდეგია მისის შვილობილ-

<sup>88</sup>) tzathios, tzathes. რადგან აჰარას ბერძნულად სწორენ Atzara-დ, ამიტომ tzathios (tzathes) უნდა იყოს ჭათი, ჭათე ან ჭატი.

ბისა. ხოსრო ბრუნდება ფრიად ნაწყენი. კობადი კვდება (531 წ.) და ტახტზე ჯდება ხოსრო<sup>39)</sup> (531 წ.).

კობად უყენს რომ სიცოცხლე გამწარებული ჰქონდა თავის ქვე-შეკრდომთაგან, ამას ქართლის ცხოვრებაც აღნიშნავს მოკლედ. ვახტანგს რომ ინდოეთში საბრძოლველად იწვევდა, ეუბნებოდა: «საქმესა ამასა ჩემსა (ზავი რომ დასდო ბერძნებთან) განჩისხენ სპარსნი მოხუცებულნი. აწ ესე ზრს სათხოველი ჩემი, რათა დაჲ შენი მომცე მე ცოლად და შენ წამოხვიდე ჩემთანა ქვეყანასა მამისა ჩვენი-სასა. შემწე მეფე მე თავითა შენითა მტერთა ჩემთა ზედა, აბაშთა და ელამთა, ჰინდთა და სინდთა, რამეთუ უძვირესი ბოროტი და დამდაბლებად მეფობისა ჩემისაჲ მათ ყვეს. აწ რდეს მოხვიდე ჩემთანა, ესრეთ ვრჭვა მოხუცებულთა და მარჯანთა ჩემთა, რამეთუ სიყვარული ვუაჲ ჩემი და მოყვარეთა ჩემთა... და ამითა დაჯანჯროთ გულისწყრომა მათი...» (ქცხ., გვ. 136). საკვირველი ის არის, რომ ისტრინესაგან შეიღად არ აყვანილი ხოსრო მეტადინეობს ეშვილობილს ვახტანგ მეფეს. გამეფებისავე უმაღ იგი სწერს ვახტანგს: «მომეც მე ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა თქვენთაგანი» (ქცხ., გვ. 146).

ხოსრო I დიდი, განათლებული და მოსამართლე ხელმწიფე იყო. სუფაში მან დააარსა აკადემია და ამ აკადემიის მასწავლებლებად დანიშნა 7 ფილოსოფოსი, გამოდურნილი კეისრისაგან. მის დროს აღეყვდა პოეზია, ფილოსოფია და რიტორობა; დაწერილ იქმნა ისტორია, გადმოითარგმნა ბერძენთა და ინდოელთ თხზულებანი, ინდოეთიდან მოტანილ იქმნა აბრეშუმის ჭია<sup>40)</sup> და სათამაშო ნარდი. ამას გარდა კიდევ სხვა ცვლილებებიც შემოიღო ხოსრო I-მა და ფრიად განამდიერა სპარსეთი. მსხვე სპარსულს ენაზე გადმოითარგმნინა ინდოელთა თხზულება «ქილილა და დამანა», რომლიდან რჩი იგავი შეტანილია თვით ვახტანგ გორგასლის «ცხოვრებაში» (ქცხ., გვ. 140 — 141). ეს თხზულება, რომელსაც ქართლის ცხოვრებაც იხსენიებს «ქილილა და დამანად» (გვ. 269), ძლიან შე-

<sup>39)</sup> გიბზონი, IV, 492. ვანი, II, 69.

<sup>40)</sup> თვით საქართველოშიაც, როგორც გადმოგვცემს ზეპიროქმულეზა, აბრეშუმის კიის თესლი პირველად ვახტანგის დროს შემოვიდა.

საძლებელია, თვით ვასტანგსვე მოეტანოს ინდოეთის ლაშქრობი-  
დან დაბრუნების დროს, და ანუ იქიდანვე მოეტანათ ჭენბაკურ რა-  
ბელიანი.

აი ამ ხოსრომ შემოუთვალა ვასტანგს: «მოკვდა მამა ჩემი და  
მეფედ მყო მე ერმან მისმან. მოსუცებულთა მიბრძანეს, მოვიდე წი-  
ნაშე შენსა და შენ წარმიძვე მე შესჯავად საბერძნეთს» (ქცხ., გვ.  
146). მეფე ამ დროს აშენებდა ქალაქ ტფილისს და საფუძველი  
ოდენ დაედვა. იგი მიწიერი იყო ვითარ სამეოცისა წლისა (იქვე).

ვასტანგმა უარი უთხრა. სარკის ასაღებად გი არ გკებრძვის  
ყენიო, — ეუბნებოდა ვასტანგი კათალიკოსს, — ანამედ რათა დაგვა-  
ტეკებინოს ქრისტეს სჯულიო (ქცხ., გვ. 147). «მეფემ წარაკვლინა  
ქადაგი, რათა ერმა დაუტეოს სოფლები და ქალაქები, რომელი იყო  
არა ძლიერი, და შეიკლტოდინა კაკასიანთა და კახეთად, რამეთუ  
კახეთი იყო ტყე შეუვადი მტრისა მიერ» (ქცხ., გვ. 147). ყველანი შეი-  
ხიზნენ მაგარ ადგილებში. ლაზრტის კლდიანი და კლდით მოზღუ-  
დვილი ხეობა გაივსო ხალხით. ამ ხეობის მოსახლენი მამინ ისე  
ცეცხლისა და წყლის მსახურნი იყვნენ (გვ. 147). აქვე დადგა  
ვასტანგის მე დაჩი მეფე. თვით ვასტანგი ცოლითურთ შევიდა უჯარ-  
მაში და წინა-ცისეში დადგა, მცხეთაში ჩააყენა დემეტრე, ნერსე და  
ბივრიტიანი. ამასთანავე კეისარს აცნობა ყენის შემოთვლილობა და  
შემწეობა ითხოვა.

ყენი განჯის მხრიდან იორზე გადმოვიდა, შემუსრა კამბეჩია-  
ნის (ქიზიყის) ქალაქი და ჭეჩამისციხე და ველისციხე. კათალიკო-  
სი და ყველა ეპისკოპოსნი შემოიკრიბნენ უჯარმას. სხარსთა ჯარი  
იყო 740,000. ვასტანგი შეება მტერს იორზე და დიდ ძალი ლაშ-  
ქარი გაუწვიტა, აგრეთვე ყენს მოუგლა მისი შვილი ბარტამი. ყა-  
ენი აიყარა და რუსთავს ჩადგა (ყარაია). საუბედუროდ, ამ ბრძო-  
ლაში მძიმედ დაიჭრა თვით ვასტანგიც. ჯარი ჩაახარა სხასპეტებს  
და თითონ უჯარმას დაბრუნდა. ყენმა ჩაკლო მტკერის პირშირ,  
შემუსრა ტფილისი, მოაოხრა არმაზი და კახუ ქალაქს (არზრუმს)  
მივიდა. იქ იდგა კეისარი. შეიბნენ რათავე ბუმბუკაზნი და რიკე.  
მხრიდან იმდენი მეომარი გაიყოლიტა, რომ სისხლის მდინარეები  
დადგა («ცხენი მუცლით აზობდა სისხლსა»).

ბრძოლის აღწერას ქართლის ცხოვრება ასრულებს სიტყვით: «და ვერ სძლო ერთმანდა, სამეთუ სზანივე ორთანვე დაიხრცნენ. და შეიქცა ხვასრო გზასა ქართლისასა» (გვ. 148).

ყოველივე ამის მსოფლიო ისტორია გადმოგვცემს ასრე:

იუსტინიანესა და ხოსროს შორის უთანხმოება მოხდა. გაჩნა მათი შუღლი დასრულდა ზავით, რომელიც დაიდო 532 წელს. იუსტინიანემ, ამასთანავე, ყენს მიაწოთ 11,000 გირვანქა ოქრო. ამ ზავის ძალით ბიზანტიაში გარდასვეწილ ქართველებს მიეცათ უფლება, უკეთუ მოისურვებდნენ სამშობლოში დაბრუნებას, დაბრუნებულნი იყვნენ<sup>41</sup>). გაჩნა ეს ზავი რავდენიმე ხნის შემდეგ დაიშვა. ამის მიზეზად შეიქმნა იმპერატორი. ხოსროს შეატყობინეს, რომ იუსტინიანე შენს სამტროდ ემზადება, იმან სომხეთი დაიბყრო, ხელს იწვდის ჭანეთისკენაც და ჭსუქს შეიქმნეს მსოფლიო იმპერატორი. ხოსრო გადავიდა ეფუზატზე და მიადგა ღურას. აიღო იგი და ამოყლიტა მტერი. მანვე დაიბყრო ასურეთი, დანგრია ანტიოქია და იერუსალიმისაკენ გასწია. იმპერატორმა მის წინააღმდეგ გამოგზავნა შესანიშნავი სპასალარი გელისარი. ხოსრო შეშინდა, უკან დაიხია, ეფუზატზე გადმოვიდა და კოლხიდაში შემოვიდა. გელისარიც უკანვე დაბრუნდა, რადგან იმპერიას სხვა მხრიდანაც განსაცდელი მოელოდა

სალაშქროდ წასვლის წინად, როგორც სჩანს ქართლის ცხოვრების შემოკრე მოყვანილ ცნობებით, ხოსროს სდომებია ვასტანგის მიმხრობაც, გაჩნა ვასტანგი რომ უარზე დამდგარა, იგი საქართველოში შემოსულა, ვასტანგს შებრძოლებია, სასიკვდილოდ დაუჭრია, აუოხრებია ზოგიერთი ცინე-ქალაქი და მერე აჩქარებით წასულა გაჩნე ქალაქისაკენ, რომ უყაროდ დაჩენილ სზარსეთს არ შესეოდა კეისარი.

ყენის წასვლის შემდეგ დამძიდა ჭრილობა ვასტანგისა: მტრის გამოსროლილი ისარი ფილტკამდე დასობოდა მას. სიკვდილის წინად მოიწვია მან ცოლ-შვილი და დიდებულნი და უთხრა: «სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტუობთ». მერე დაჩის უთხრა: «შენი ძმე-ბისათვის და ჩემი შვილებისათვის ბერძნის ცოლისაკან მიმიტყმია

<sup>41</sup>) განი. წიგნი II, გვ. 16—17; გიბზონი. IV, 500.

ტასის კარიტჯან (ბორჯომიდან) და წუნდიტჯან სომხითამდე და საბერძნეთამდე და აგრეთვე საზღვარი აფხაზეთისა ეგრისწყალსა და კლისურას შუა. შენ იყავ მეფედ და ძმება შენი კი ერისთავებადა. შემდეგ დედოფალი ელენე და მისნი შვილები (ლეონ და მირდატ) ჩაბახარ წუნდის ერისთავს ნასარს, კლარჯეთის ერისთავს არტაზს და ოძრხის ერისთავს ბიერიტიანს. და გარდაიცვალა (532 წელს). მთელმა ერმა გოდება და თავპირის ტყება იწყო. ნაცარს იერიდნენ. გოდების სმისაგან იძუროდა მთელი ქვეყანა. გარნა ჭნატრიდენცა მას, რომ ქრისტესთვის მოიკლა. იგი შეიკაცა მოწამეთა შორის<sup>42)</sup> და დასაფლავებულ იქმნა მცხეთის სვეტიცხოველში. «საფლავსა მისსა ზედა, — ამბობს ქართლის ცხოვრება, — წერილ არს ხატი მისი, სწორი ასაკისა მისისა» (გვ. 149).

ვახტანგის შემდეგ დიდს განსაცდელში ჩავარდა საქართველო: ყაენებმა მეფეებს ჩამოართვეს მეფური უფლება და ეკლესიაც მეტის-მეტად შეაუწროეს. ამ საკვალლო დროს ეკლესიას ნუგეშად გამოუჩნდნენ კაიხადუგიიდან მოსულნი 13-ნი მამანი და სამეფო ტახტს კი გურამ ბაგრატიონი.

მ. ჟანაშვილი



<sup>42)</sup> ქართლ. ცხ., II, გვ. 25.

# ს ა მ ი გ რ ი ლ მ - ს ვ ა ნ ი თ ი ს

## სამთავროთა გაუქმება

კ. ალ. ბორცხდისა.

5 \*)

თებერვალსა თუ მარტში დ. ყიფიანი სამეგრელოში მოვიდა. რამდენჯერმე იყო გენარალ მ. კოლიუბაკინთან, ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ერთი პროგრამა შეედგინათ მოქმედებისა და ისე ეწარმოებინათ სამთავრო მამულების საქმენი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მორიგდნენ. გენერალი იმას ამბობდა, რომ კანონის წინაშე მთავრის მამულები კერძო მესაკუთრის მამულებად უნდა ჩაითვალოს და, მაშასადამე, ეს მამულებიც იმავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, რა კანონსაც კერძო მესაკუთრეთა მამულები ექვემდებარებაო. დ. ყიფიანი კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მთავრობამ ისე უნდა მოუაროს მთავრის მამულს, როგორც სახაზინო მამულსაო. ამ შინაურულ მოლაპარაკების დროს გენერალი ხშირად ცხარობდა და არჩია დ. ყიფიანთან ამ საქმის შესახებ მხოლოდ მიწერ-მოწერა ჰქონოდა და ისიც ოფიციალურის ხასიათისა.

მაისში ფოთი ქალაქად იყო გამოცხადებული და უნდა ეკურთხებინათ. ამ შემთხვევისა გამო ორპირში მოიყარა თავი მთელმა უფროსობამ. აქ იყვნენ: გენერალ-გუბერნატორი, ქუთაისის გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, რამდენიმე მაზრისა და ოლქის უფროსები, სამი ეპისკოპოსი—ქუთაისისა, ჰყონდიდელი და გურიისა. ამ კამპანიაში რამდენიმე ქალიც

\*) „მოამბე“ 1897 წ. №№ X, XI და XII; 1899 წ. № II,

947.922

5 202